კვარტალური მაკროეკონომიკური მიმოხილვა*

კვარტალის მნიშვნელოვანი მაჩვენებლები

- 2023 წლის III კვარტალში, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი 5.4%-ით გაიზარდა, რაც ნაკლებია პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ აგვისტოს თვეში პროგნოზირებულ 6.9%-ზე.
- 2023 წლის III კვარტალში წლიური ინფლაცია 0.6%-ს გაუტოლდა, რაც მიზნობრივი ინფლაციის 3.0%-იან მაჩვენებელზე ნაკლებია.
- 2023 წლის III კვარტალში ნაერთი ბიუჯეტის უარყოფითმა მთლიანმა სალდომ 834.5 მლნ ლარი შეადგინა.
- მთლიანი სახელმწიფო ვალი ზრდის ტენდენციას ავლენს. შემცირებულია საგარეო ვალის წილი მთლიან სახელმწიფო ვალში, კერძოდ, 2023 წლის III კვარტალში საგარეო ვალის წილმა 73.7% შეადგინა, მაშინ როდესაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდში 76.3% იყო.
- 2023 წლის II კვარტალში გაუარესდა საგადასახდელო ბალანსის მდგომარეობა, კერძოდ, მიმდინარე ანგარიშის უარყოფითი სალდო, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, გაიზარდა 34.8%-ით და 366.0 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა.
- 2023 წლის III კვარტალში მთლიანმა საერთაშორისო რეზერვებმა 5,273.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 22.3%-ით მეტია წინა წლის შესაბამის მონაცემზე.
- 2023 წლის III კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ექსპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვის მთლიან მოცულობაში 30.0%-დან 28.7%-მდე შემცირდა.
- წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2023 წლის III კვარტალში ფულადი გზავნილები 15.1%-ით შემცირდა და 872.0 მლნ დოლარი შეადგინა.
- მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთი 2023 წლის III კვარტალში 10.0%-ით განისაზღვრა.
- ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ წინა კვარტალთან შედარებით 2.4%-ით გაუფასურდა, ხოლო 2022 წლის III კვარტალთან შედარებით 7.7%-ით გამყარდა.
- დოლარიზაციის მაჩვენებელი, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, შემცირდა როგორც დეპოზიტებზე, ასევე სესხებზე.

მაკროეკონომიკური ანალიზისა და საგადასახადო პოლიტიკის განყოფილება

ელ-ფოსტა: pbo@parliament.ge

*სტატისტიკური ინფორმაციის გამოქვეყნების კალენდრის მიხედვით ზოგიერთი მონაცემი წარმოადგენს წინა კვარტლის ცვლადს

1. რეალური სექტორი

2023 წლის III კვარტალში, სტატისტიკის სამსახურის წინასწარი შეფასებით, მშპ-ის საშუალო რეალურმა ზრდამ 5.4% შეადგინა.

საბიუჯეტო ოფისის მიერ 2023 წლის აგვისტოში გაკეთებული მესამე კვარტლის ეკონომიკური ზრდის შეფასება შეადგენდა 6.9%[1]-ს, რაც ითვალისწინებდა რუსეთ-უკრაინას შორის საომარი მდგომარეობის გავლენას საქართველოს ეკონომიკაზე. საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2023 წლის III კვარტალში მშპ-ს პოტენციური დონე ჩამორჩებოდა სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ შეფასებულ მონაცემს, შესაბამისად მშპ-ს გაპი იყო დადებითი და 0.6%-ს გაუტოლდა. უნდა აღინიშნოს, რომ წინა კვარტალში მშპ-ის გაპი დადებითი (1.3%) იყო.





2023 წლის II* კვარტალში, საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, მშპ-ს ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი ექსპორტისა და მოხმარების ზრდას ჰქონდა.

მშპ-ის კომპონენტების ანალიზის მიხედვით, 2023 წლის II კვარტალში რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი ექსპორტის (6.4%), მოხმარების (2.6%) და ინვესტიციების (1.8%) კომპონენტებით იქნა განპირობებული. აღნიშნულ პერიოდში უარყოფითი გავლენა მშპ-ზე იმპორტს (-3.4%) ჰქონდა.

[1] www.pbo.parliament.ge

2023 წლის II* კვარტალში მშპ-ის სტრუქტურაში ყველაზე მაღალი წილი საბითუმო და საცალო ვაჭრობას ჰქონდა.

2023 წლის II* კვარტალში მშპ-ის დარგობრივ სტრუქტურაში ყველაზე მაღალი წილი[2] საბითუმო და საცალო ვაჭრობას ჰქონდა (15.5%). ასევე მნიშვნელოვანი წილითაა წარმოდგენილი უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები (10.6%), დამამუშავებელი მრეწველობა (8.9%), მშენებლობა (7.7%), სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა (7.7%), სახელმწიფო მმართველობა, თავდაცვა, სოციალური უსაფრთხოება (6.9%) და ტრანსპორტი და დასაწყობება (6.0%).

მშპ-ს დარგობრივი სტრუქტურა



ეკონომიკის ზრდა 2019 წელთან შედარებით



თვიურ მონაცემებზე დაკვირვებით ვლინდება, რომ ეკონომიკური ზრდის ტრენდი წრფივი არ არის.

საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, წინასწარი მონაცემებით, 2023 წლის III კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მშპ-ის ტრენდის[3] ზრდის ტემპმა 6.1% შეადგინა. 2022 წლის III კვარტალში აღნიშნული მაჩვენებელი 9.2% იყო. აღსანიშნავია, რომ ბოლო თვეების განმავლობაში პანდემიამდელ, 2019 წელთან შედარებით ეკონომიკის აღდგენის მაღალი ტემპები შეინიშნება.

რეალური მშპ-ის ტრენდი



[2] წილი დათვლილია მშპ-ში მიმდინარე ფასებით
[3] ტრენდი წარმოადგენს ყოველთვიური ეკონომიკური ზრდის შეფასებას სეზონურობის და შემთხვევითი რყევების გამორიცხვით



2023 წლის III კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, სამომხმარებლო ფასების ინფლაცია კლების ტენდენციას ავლენს.

2023 წლის III კვარტალში წლიური ინფლაციის საშუალო მაჩვენებელმა 0.6% შეადგინა, ანუ მიზნობრივი ინფლაციის 3.0%-იან მაჩვენებელზე ნაკლები. III კვარტალში ინფლაციის დონის ფორმირებაზე გავლენა იქონია ძირითადად სასტუმროებზე, კაფეებსა და რესტორნებზე, განათლებაზე, ალკოჰოლურ სასმელებსა და თამბაქოზე, საცხოვრებელზე, სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე და სხვა სასაქონლო ჯგუფებზე ფასების დინამიკამ.

2023 წლის III კვარტალში საბაზო ინფლაციამ (სურსათისა და ენერგომატარებლების ფასების გამორიცხვით, რომლებიც მაღალი მერყეობით გამოირჩევიან) 0.1% შეადგინა.

2. ფისკალური სექტორი



2023 წლის III კვარტალში ნაერთი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო დაფიქსირდა.

2023 წლის III კვარტალში ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 20.8%-ით გაიზარდა და 5,389.6 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების შეძენამ 18.2%-ით მოიმატა და 6,306.8 მლნ ლარს გაუტოლდა.

2022 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საოპერაციო სალდოს მაჩვენებელი 244.2 მლნ ლარით გაიზარდა და 723.3 მლნ ლარი შეადგინა. უარყოფითი მთლიანი სალდო 834.5 მლნ ლარით განისაზღვრა. შედარებისათვის, წინა წლის III კვარტალში უარყოფითი მთლიანი სალდო 768.4 მლნ ლარს შეადგენდა.

2023 წლის III კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 21.7%-ით გაიზარდა და 4,893.2 მლნ ლარით განისაზღვრა.

2023 წლის III კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის პირდაპირი გადასახადები 50.1%-ით გაიზარდა და 2,035.2 მლნ ლარი შეადგინა, არაპირდაპირმა გადასახადებმა კი 7.2%-ით მოიმატა და 2,858.0 მლნ ლარს გაუტოლდა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ პერიოდში გრანტების კომპონენტი შემცირდა 20.2%-ით და 28.9 მლნ ლარით განისაზღვრა, ხოლო სხვა შემოსავლებმა 16.0%-ით მოიმატა, რამაც 467.5 მლნ ლარი შეადგინა.





2023 წლის III კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, როგორც მიმდინარე ხარჯები, ასევე არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისათვის მიმართული სახსრები ზრდის ტენდენციას ავლენს.

2023 წლის III კვარტალში ნაერთი ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯები 4,666.3 მლნ ლარს შეადგენს, ანუ გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 17.2%-ით მეტს. არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი 1,640.5 მლნ ლარს უტოლდება, რაც წინა წლის შესაბამის მონაცემს 21.0%-ით აჭარბებს. აღნიშნულ პერიოდში 15.3%-ით არის გაზრდილი ხარჯები საქონელსა და მომსახურებაზე, რამაც 647.8 მლნ ლარი შეადგინა. შრომის ანაზღაურებაზე ხარჯებმა 652.1 მლნ ლარი შეადგინა (მოიმატა 20.3%-ით), ხოლო სოციალური უზრუნველყოფის ხარჯებმა - 1,896.5 მლნ ლარი (მოიმატა 23.3%-ით). დანარჩენი ხარჯები (პროცენტი, სუბსიდიები, გრანტები, სხვა დანახარჯები) 9.7%-ით გაიზარდა და 1,469.9 მლნ ლარით განისაზღვრა.



2023 წლის III კვარტლის ბოლოს – 30 სექტემბრის მდგომარეობით სახელმწიფო ვალის ნაშთმა ნომინალურ გამოსახულებაში 30,704 მლნ ლარი შეადგინა, რაც 9.1%-ით მეტია წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით.

2023 წლის III კვარტლის ბოლოს სახელმწიფო ვალის მოცულობაში საგარეო ვალის წილი 73.7%-ს შეადგენს (2022 წლის III კვარტლის ბოლოს - 76.3%), ხოლო საშინაო ვალის წილი - 26.3%-ს (2022 წლის III კვარტლის ბოლოს - 23.7%).



3. საგარეო სექტორი



2023 წლის II* კვარტალში საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის უარყოფითი სალდო დაფიქსირდა.

2023 წლის II კვარტალში, მიმდინარე ანგარიშის უარყოფითმა სალდომ 366.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 34.8%-ით მეტია გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე. მშპ-თან მისი თანაფარდობის მაჩვენებელი -4.9%-ით განისაზღვრა. მიმდინარე ანგარიშის კომპონენტების მიხედვით, საქონლით სავაჭრო ბალანსისა და წმინდა შემოსავლების დეფიციტს ნაწილობრივ ფარავს მიმდინარე ტრანსფერტებისა და მომსახურების დადებითი სალდო, საიდანაც აღსანიშნავია მოგზაურთა მომსახურების მნიშვნელოვნი დადებითი დინამიკა. კერძოდ, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, 2023 წლის II კვარტალში აღნიშნული მაჩვენებელი 34.8%-ით გაიზარდა და 1,009.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.



2023 წლის II კვარტალში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების ძირითად წყაროს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წარმოადგენდა.

ამ პერიოდში წმინდა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 472.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (მშპ-ის მიმართ 6.3%), რაც 46.9%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით.





2023 წლის III კვარტალში მთლიანმა საერთაშორისო რეზერვებმა 5,273.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

2023 წლის III კვარტლის ბოლოსათვის საერთაშორისო რეზერვების ოდენობა 5,273.2 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, ანუ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 22.3%-ით მეტი.

2023 წლის III კვარტალში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სავალუტო აუქციონზე 64.8 მლნ აშშ დოლარი გაყიდა.



2023 წლის III კვარტალში საქონლით საგარეო ვაჭრობაში ექსპორტის და იმპორტის ზრდის ტენდენცია გამოიკვეთა.

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2023 წლის III კვარტალში საქონლის ექსპორტი 1.6%-ით გაიზარდა და 1,553.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო საქონლის იმპორტის 7.9%-იანი ზრდა დაფიქსირდა, რაც 3,853.4 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა. საანალიზო პერიოდში ექსპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 28.7%-ით განისაზღვრა. 2023 წლის I-III კვარტალში უმსხვილეს საექსპორტო საქონელს მიეკუთვნებოდა მსუბუქი ავტომობილები (34.0% ექსპორტის მთლიან მოცულობაში), სპილენძის მადნები და კონცენტრატები (9.5%), ნატურალური ღვინოები (4.2%), ფეროშენადნობები (3.0%), სპირტიანი სასმელები (2.9), აზოტოვანი სასუქები (2.7%) და სხვა.





2023 წლის III კვარტალში, გაიზარდა როგორც საერთაშორისო მოგზაურების, ასევე საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტები.

2023 წლის III კვარტალში საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების რაოდენობამ 2,706,863 შეადგინა, რაც 19.4%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები მოიცავს საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტებსაც, რომელიც III კვარტალში 2,298,720 იყო (ზრდა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შეადგენს 21.0%-ს). აღნიშნულ პერიოდში ყველაზე მეტი საერთაშორისო ვიზიტორის ვიზიტი განხორციელდა რუსეთიდან (571,421; ზრდა წინა წლის III კვარტალთან 7.2%), თურქეთიდან (498,892; ზრდა 77.3%), სომხეთიდან (338,970; ზრდა 4.0%),

2023 წლის III კვარტალში შემოსავლებმა საერთაშორისო მოგზაურობიდან 1,447.1 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 5.3%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.



2023 წლის III კვარტალში ფულადი გზავნილები შემცირდა.

წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2023 წლის III კვარტალში ფულადი გზავნილები 15.1%-ით შემცირდა და 872.0 მლნ დოლარი შეადგინა. გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (გზავნილების მთლიანი ოდენობის 38.9%) და რუსეთი (22.2%) წარმოადგენენ. წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, გზავნილების მოცულობამ მნიშვნელოვნად მოიმატა იორდანიიდან (433%), ერაყიდან (366%), ირლანდიიდან (105%), ყაზახეთიდან (65%), აშშ-დან (41%), გერმანიიდან (35%), იტალიიდან (23%), გაერთიანებული სამეფოდან (22%), საფრანგეთიდან (21%) და სხვა.

ფულადი გზავნილები მკვეთრად შემცირდა სომხეთიდან (87%), ყირგიზეთიდან (70%), რუსეთიდან (50%), აზერბაიჯანიდან (18%) და სხვა.



4. მონეტარული სექტორი

2023 წლის III კვარტალში მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთმა 10.0% შეადგინა.

2022 წლის 30 მარტს მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება განაკვეთის 0.5%-ული პუნქტით 11.0%-მდე გაზრდის თაობაზე. 2022 წლის განმავლობაში, ასევე 2023 წლის 1 თებერვლისა და 29 მარტის გადაწყვეტილებებით მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი უცვლელი (11.0%) დარჩა. 2023 წლის 10 მაისს მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 0.5%-ული პუნქტით შემცირდა და 10.5% შეადგინა. მომდევნო პერიოდში განაკვეთი ეტაპობრივად 0.25%-ული პუნქტით მცირდებოდა და 13 სექტემბრის გადაწყვეტილებით 10.0% შეადგინა.





2023 წლის III კვარტალში საბაზრო საპროცენტო განაკვეთი სესხებზე 13.4%-ს შეადგენდა.

2023 წლის III კვარტალში საბაზრო საპროცენტო განაკვეთი სესხებზე, წინა კვარტალთან შედარებით, 0.34%-ული პუნქტით შემცირდა და 13.4%-ით განისაზღვრა. ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთმა 16.0% შეადგინა (0.44%-ული პუნქტით ნაკლები), ხოლო უცხოურ ვალუტაში სესხებზე - 8.6% (0.82%-ული პუნქტით ნაკლები).

2023 წლის III კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, ლარის კურსი ყველა ძირითად ვალუტასთან მიმართებით გაუფასურდა, თურქული ლირისა და რუსული რუბლის გარდა.

2023 წლის III კვარტალში ლარის კურსი (პერიოდის საშუალო) აშშ დოლარის მიმართ, წინა კვარტალთან შედარებით 2.4%-ით გაუფასურდა, ხოლო 2022 წლის III კვარტალთან მიმართებით 7.7%-ით გამყარდა. 2022 წლის III კვარტალთან შედარებით, ლარი გაუფასურდა ევროსთან (0.1%-ით), გამყარდა თურქულ ლირასთან (61.2%), რუსულ რუბლთან (69.2%-ით), აზერბაიჯანულ მანათთან (7.9%-ით), სომხურ დრამთან (2.0%-ით) და უკრაინულ გრივნასთან (14.1%-ით) მიმართებაში.





2023 წლის III კვარტალში, ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხები (ნაშთები) გაიზარდა.

2023 წლის III კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემულმა სესხებმა 12.4%-ით მოიმატა და 47,699 მლნ ლარი შეადგინა. უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანი სესხების ნახევარზე მეტი (54.2%) შინამეურნეობებზე მოდის.

რაც შეეხება გაცემულ სესხებს საქმიანობის სახეების მიხედვით, საანალიზო პერიოდის ბოლოს, ყველაზე მეტი - 20.9% გაცემულია ვაჭრობის დარგში, 20.0% - მშენებლობის, 18.1% - მრეწველობის, 13.3% - უძრავი ქონებით ოპერაციების და 7.3% - სასტუმროებისა და რესტორნების დარგებში.



2023 წლის III კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, დოლარიზაციის მაჩვენებელი შემცირდა როგორც დეპოზიტებზე, ასევე სესხებზე.

2023 წლის I კვარტალში დეპოზიტებზე დოლარიზაციის მაჩვენებელმა 50.8% შეადგინა, სესხებზე დოლარიზაციის მონაცემი კი 44.4%-ით განისაზღვრა. II კვარტალში დეპოზიტებზე დოლარიზაციის მაჩვენებელი 48.6%-ს გაუტოლდა. სესხებზე კი 45.0%-ით განისაზღვრა.

III კვარტალში დოლარიზაციის მაჩვენებელმა დეპოზიტებზე 48.1% შეადგინა, ანუ წინა კვარტალთან შედარებით 0.5%-ული პუნქტით, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე კი 8.5%-ული პუნქტით ნაკლები. სესხებზე დოლარიზაციის მონაცემი 44.8%-ით განისაზღვრა, რაც წინა კვარტალთან მიმართებით 0.2%-ული პუნქტით, ხოლო გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 0.3%-ული პუნქტით ნაკლებია.



5. სოციალური სფერო



2023 წლის III კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, საარსებო მინიმუმი გაიზარდა.

2023 წლის III კვარტლის ბოლოს - სექტემბერში საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმმა 222.2 ლარი შეადგინა, რაც გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 3.2 ლარით მეტი, ხოლო წინა კვარტალთან მიმართებით 3.2 ლარით ნაკლებია.

რაც შეეხება 2023 წლის III კვარტლის საარსებო მინიმუმის საშუალო მაჩვენებელს, წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან მიმართებით გაზრდილია 2.0%-ით.

2023 წლის III კვარტალში, წინა წლის III კვარტალთან მიმართებით, როგორც ჯანდაცვაზე, ასევე განათლებაზე გაწეული სახელმწიფო დანახარჯები მნიშვნელოვნად გაიზარდა.

2023 წლის III კვარტალში განათლებაზე გაწეულმა ხარჯებმა (ფუნქციონალურ კლასიფიკაციაზე დაყრდნობით) 577.8 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემთან მიმართებით 29.6%-ით მეტია. ჯანდაცვაზე გაწეული დანახარჯები 553.4 მლნ ლარით განისაზღვრა, ანუ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 25.8%-ით მეტი.





2023 წლის II* კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა, ხოლო უმუშევართა რაოდენობა შემცირდა.

2023 წლის II კვარტალში დასაქმებულთა რაოდენობამ 1,327.4 ათასი კაცი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 4.5%-ით მეტია (დაქირავებულთა წილი მთლიან დასაქმებულთა რაოდენობაში 69.1% შეადგენს, თვითდასაქმებულთა წილი კი 30.9%-ს). რაც შეეხება უმუშევართა რაოდენობას, საანალიზო პერიოდში 266.9 ათასი კაცით განისაზღვრა, ანუ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 5.2%-ით ნაკლები. საანალიზო პერიოდში უმუშევრობის დონემ 16.7% შეადგინა (1.4%-ული პუნქტით ნაკლები წინა წლის ანალოგიურ მონაცემთან შედარებით).

2023 წლის II* კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ბიზნესს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა და შრომის ანაზღაურება ზრდის ტენდენციას ავლენს.

2023 წლის II კვარტალში ბიზნესს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობამ 737.7 ათასი კაცი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 6.1%-ით მეტია. რაც შეეხება შრომის ანაზღაურებას, საანალიზო პერიოდში საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება 1,914.7 ლარით განისაზღვრა, ანუ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 17.8%-ით მეტი.



გამოყენებული მონაცემების წყარო:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
3. საქართველოს ეროვნული ბანკი
4. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია